

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაჩიშვილი ზურაბ ზუცხრიკიძე

„16“-----01-----“ 2015 წელი

ეგზ. № 2

ქარელის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში *აღ 9/00*

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	7
არაფინანსური აქტივები.....	8
სხვა მატერიალური მარაგები	10
შრომის ანაზღაურება	11
ოფისის ხარჯები	12
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	13
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	13
სოციალური უზრუნველყოფა	14
სხვა ხარჯები.....	15
წმინდა ღირებულება.....	17
ინვენტარიზაცია.....	18
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	19
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	20
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	20
დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	20
არაფინანსური აქტივები.....	21
სხვა მატერიალური მარაგები	23
ოფისის ხარჯები	24
წარმომადგენლობითი ხარჯები	25
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	25
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	26
სოციალური უზრუნველყოფა	27
სხვა ხარჯები.....	28
წმინდა ღირებულება.....	29
ინვენტარიზაცია.....	30
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	31
ორგანიზაციის ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.....	33
ორგანიზაციის ბალანსი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.....	50
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	67
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	67

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით

უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა


ქარელის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის,¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

¹ აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ქარელის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შემოსულობებმა შეადგინა 24082.2 ათასი ლარი: 2012 წელს - 12 700,6 ათასი ლარი, 2013 წელს - 11 381,6 ათასი ლარი. აქედან, 98,1 %-ს შეადგენს შემოსავლები, 1,9 % - არაფინანსური აქტივების კლებაა, შემოსავლები კი მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:



2012-2013 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ✓ გათანაბრებითი ტრანსფერი - 10540.9 ათასი ლარი.
- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი - 410.0 ათასი ლარი.
- ✓ სპეციალური ტრანსფერი - 9810.7 ათასი ლარი.

2012-2013 წლებში ბიუჯეტების გადასახდელებმა შეადგინა 23533,5 ათასი ლარი. აქედან: 2012 წელს - 13196,7 ათასი ლარი, 2013 წელს - 10336,8 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გადასახდელების 59,3 %-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 40,7 % -ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად დადგინდა უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა #1) №1210 ანგარიშზე „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაჩვენებია 1147.0 ათასი ლარის ოდენობით. ბანკის ამონაწერებით, ამ პერიოდისათვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ნაშთი შეადგენდა 1143.5 ათას ლარს. ნაშთი გაზრდილია (ნაჩვენებია) სახელმწიფო ხაზინიდან 2011 წლის 30 დეკემბერს გადმორიცხული, მუნიციპალიტეტის კუთვნილი 3.5 ათასი ლარით, რომელიც ანგარიშზე ჩაირიცხა 2012 წლის 3 იანვარს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ გაზრდილია 3.5 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა 2012 წელს შეისყიდა სხვადასხვა სამუშაოები, საერთო თანხით 1680.9 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს გზების, შენობა-ნაგებობების აღდგენასა და რემონტს, ჭაბურღილის მოწყობის და ა. შ. სამუშაოებს. ფინანსურ ანგარიშგებაში შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღრიცხულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის² მიხედვით, აღნიშნული სამუშაოები მიეკუთვნება არაფინანსურ აქტივებს და აღრიცხული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 1680.9 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მუხლი.

- „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5) ასახული არ არის „ძირითადი აქტივების“ შესყიდვის გზით მიღება.

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 1680.9 ათასი ლარით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი. გაზრდილი სახითაა წარმოდგენილი „სხვა ხარჯების“ მაჩვენებელი, რაც ასევე გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსის (ბალანსი ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის მაჩვენებელზე.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტმა საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულება გააფორმა შპს „სტანდარტი 2009“-თან, ღირებულებით 4.0 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა აღრიცხულია, როგორც „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯი. რადგან საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე გახარჯული თანხა წარმოადგენს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, აღრიცხული უნდა იყოს, როგორც არაფინანსური აქტივი.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 4.0 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5) ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვის გზით მიღება.
- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 4.0 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი.
- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3), გაზრდილი სახითაა წარმოდგენილი „საქონელი და მომსახურების“ მაჩვენებელი.

გარემოება 4: 2010 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია 17 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 29695 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

ორგანიზაციის ბალანსში „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლის ნაშთი წლის ბოლოს წარმოდგენილია 2.7 ათასი ლარით, რომელიც არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ორგანიზაციის ანგარიშში ასახულია, როგორც „არაწარმოებული აქტივების ნაშთი“.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართ ფორმა №5).
- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 2.7 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი და ამავე თანხით გაზრდილია „სხვა ძირითადი აქტივების“ მაჩვენებელი.

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, სხვა მატერიალური მარაგების მუხლში ასახულია ხანგრძლივი გამოყენების მცირეფასიანი აქტივები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მიხედვით, აქტივი ექვემდებარებოდა „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლით გატარებას, როგორც 500 ლარზე ნაკლები ღირებულებისა და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი. ინსტრუქციით რეკომენდებულია ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტში ისინი აღიარებულ იქნეს ხარჯად და აღირიცხოს საცნობარო მუხლების შესაბამის ანგარიშზე.

2012 წლის დასაწყისისათვის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი შეადგენდა 48.5 ათას ლარს, წლის განმავლობაში მიღებულია 53.8 ათასი ლარის ღირებულების აქტივი.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილი სახით არის წარმოდგენილი ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგების“ და „წმინდა ღირებულების“ ანგარიშები და ასევე საცნობარო მუხლი - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“.

- ოპერაციის არასწორად ასახვის გამო, შეცდომით არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში წმინა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3).

შრომის ანაზღაურება

გარემოება მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით, „ხელფასები ფულადი ფორმით“ დაფიქსირებულია ხარჯი 1622.3 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ნაჩვენებია „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტში, მაშინ როდესაც იგი მოიცავს, პრემიის სახით გაცემულ თანხას - 565.4 ათას ლარს. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდებოდეს ცალკე „პრემიის“ პუნქტში, და არა „თანამდებობრივ სარგოში“. შესაბამისად, პრემიის სახით გაცემული თანხების ხელფასებში ასახვა წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლის მაჩვენებლის არასწორად წარმოდგენას.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით, გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი „ხელფასების“ მუხლში „თანამდებობრივი სარგოები“ 565.4 ათასი ლარით, შესაბამისად, იმავე თანხით შემცირებულადაა წარმოდგენილი პრემიის სახით გაცემული თანხები (ბალანსის დანართი ფორმა №2).

ოფისის ხარჯები

გარემოება 1. ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის განმავლობაში სხვადასხვა მომსახურების (საბანკო, საარქივო, საკონსულტაციო და ა. შ.) შესყიდვის მიზნით გაწეულია 48.5 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც აღრიცხულია „ოფისის ხარჯების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით³, აღნიშნული შესყიდვები წარმოადგენს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეულ ხარჯს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), 48.5 ათასი ლარით გაზრდილი სახითაა წარმოდგენილი „ოფისის ხარჯების“ და ამავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის მაჩვენებელი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტმა 2012 წელს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტების გადაზიდვის მიზნით განახორციელა მომსახურების შესყიდვა - ღირებულებით 7.0 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ტრანსპორტირების ხარჯი აღრიცხულია „ოფისის ხარჯების“ მუხლში, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, გადაზიდვა-გადაყვანის ხარჯი მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2). კერძოდ, 7.0 ათასი ლარით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ მუხლი, ამავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი.

³ 2010 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №672 „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1. 2012 წელს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი⁴. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, წლის განმავლობაში ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯის ანაზღაურების სახით (ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე) სულ მიღებული აქვთ 43.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გარემოება. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა განხორციელდა აქტივის ნარჩენ ღირებულებაზე და არა ინსტრუქციით გათვალისწინებულ, საწყის (ისტორიულ) ღირებულებაზე.

დარიცხული ცვეთა - 403.3 ათასი ლარი (ფაქტობრივი ხარჯი), ბალანსის დანართი ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ნაცვლად „ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა“ , წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებში.

გავლენა

⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (მუხლი 16, პუნქტი 3) საფუძველზე.

- აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5).

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება 1. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან „სოციალური დახმარების“ სახით გაწეულ ხარჯებში არასწორადაა წარმოდგენილი ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დაფინანსება - 74.0 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს სუბსიდიას და უნდა აღრიცხულიყო „სუბსიდიებში“.

გავლენა

- ხარჯების არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაზრდილია 74.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ ბალანსის დანართი ფორმა №3) გაზრდილი სახით არის წარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ მაჩვენებელი და შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

გარემოება 2. „სოციალური დახმარების“ მუხლში არასწორადაა წარმოდგენილი აგრეთვე ახალგაზრდობის ქუჩაზე სპორტული დარბაზში წყლისა და ელ.ენერგიის მიყვანის, რუისის №3 საბავშვო ბაღის შენობისა და სახელოვნებო სკოლის ოთახების სარემონტო სამუშაოები, თანხით 27.8 ათასი ლარი. გაწეული ხარჯი წარმოადგენს

„არაფინანსური აქტივების ზრდას“ და აღნიშნული თანხით უნდა გაზრდილიყო შესაბამისი ძირითადი აქტივი.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 27.8 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5) ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვის გზით მიღება.
- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 27.8 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი.
- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) გაზრდილი სახითაა წარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ და შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მაჩვენებელი.

სხვა ხარჯები

გარემოება.1 მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე წვევამდელთა ტრანსპორტირებაზე გაწეულია 52.5 ათასი ლარი ხარჯი (მომსახურება - 7.9 ათასი ლარი, გახარჯული საწვავი - 44.2 ათასი ლარი). აღნიშნული მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, გადაზიდვა-გადაყვანისა და საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორად.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოებით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2). კერძოდ, 52.5 ათასი ლარით გაზრდილია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი. ამავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) შემცირებულადაა წარმოდგენილი „სხვა ხარჯების“ მუხლი და გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლის მაჩვენებელი.

გარემოება 2. 2012 წელს ქარელის მუნიციპალიტეტმა სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების მიზნით გასწია 3.4 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქვს „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული უნდა ასახულიყო „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსური ანგარიშგების „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), 3.4 ათასი ლარის ხარჯი, ნაცვლად „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში ასახვისა, წარმოდგენილია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) შემცირებულადაა წარმოდგენილი „საქონელი და მომსახურების“ მუხლი და გაზრდილია „სხვა ხარჯების“ მუხლის მაჩვენებელი.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტმა 2012 წელს მრავალბინიანი სახლების გადახურვის მიზნით განახორციელა სახურავების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 132.2 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოებზე გაწეული ხარჯი ასახულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. მუნიციპალიტეტს შესრულებული სამუშაოები უნდა ელიარებიან არაფინანსურ აქტივად და შემდეგ განეკარგა კანონმდებლობის შესაბამისად.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 132.2 ათასი ლარით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვის გზით მიღება და უსასყიდლოდ გასვლა.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) შემცირებულადაა წარმოდგენილი უსასყიდლოდ გაცემული არაფინანსური აქტივების მაჩვენებელი. შესაბამისად, არასწორია ორგანიზაციის ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლის მონაცემები.

წმინდა ღირებულება

გარემოება. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შემოსავლების“ მუხლში არ არის ასახული არასაკუთარი არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები, თანხით 369.9 ათასი ლარი⁵.

გავლენა

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი (ბალანსის დანართ ფორმა №3-ში).

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, კრედიტის მხარე შემცირებულია 369.9 ათასი ლარით. შესაბამისად, არასწორადაა

⁵ სულ არაფინანსური აქტივების კლება - 427.3 ათასი ლარი, მ.შ. საკუთარი ქონების რეალიზაცია - 57.4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი „საკრედიტო ბრუნვის“, „ჯამისა“ და „პერიოდის ბოლოს ნაშთის“ მუხლები (ბალანსის დანართ ფორმა №3-ში).

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 605 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2006 წლიდან ქარელის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის

ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა

რადგან მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ ხორციელდება:

- ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
- ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
- აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
- გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
- არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
- ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
- აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში, ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1-ში, №1210 ანგარიშზე - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაჩვენებია 652.1 ათასი ლარის ოდენობით. ბანკის ამონაწერებით, ამ პერიოდისათვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ნაშთი შეადგენდა 649.2 ათას ლარს. ნაშთი ძირითადად გაზრდილია (ნაჩვენებია) სახელმწიფო ხაზინიდან 2012 წლის 31 დეკემბერს გადმორიცხული, მუნიციპალიტეტის კუთვნილი 2.5 ათასი ლარით, რომელიც ანგარიშზე ჩაირიცხა 2013 წლის 3 იანვარს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, გაზრდილია 2.9 ათასი ლარით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება. 2013 წლის ბოლოსათვის ქარელის მუნიციპალიტეტს შპს „ნიუ კონტრაქტმენის“ მიმართ გააჩნდა 19.9 ათასი ლარის მოთხოვნა, რომელიც

წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო გავრცელებულ საჯარიმო სანქციას. ასევე, ამავე მომწოდებლისათვის აღნაშთურებელია 19.9 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოს ღირებულება. აღნიშნული მოთხოვნა და ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით.

არაფინანსური აქტივები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა 2013 წელს განახორციელა სასმელი წყლის სისტემის მოწყობის, გზებისა და შენობების რეაბილიტაციის, აგრეთვე სხვა სამუშაოები, ღირებულებით 2077.4 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში შესრულებული სამუშაოების თანხა აღრიცხულია, როგორც „სხვადასხვა ხარჯების“ სახით გაწეული ხარჯი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის⁶ მიხედვით, აღნიშნული სამუშაოები მიეკუთვნება არაფინანსურ აქტივებს და აღრიცხული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 2077.4 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5) ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვის გზით მიღება.

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 2077.4 ათასი ლარით.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი. გაზრდილადაა წარმოდგენილი „სხვა ხარჯების“ მაჩვენებელი, რაც ასევე გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსის (ბალანსის ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის მაჩვენებელზე.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტმა 2013 წელს შეისყიდა სხვადასხვა სამუშაოები, საერთო თანხით 175.6 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს გზების შეკეთების, შენობის რემონტსა და საპროექტო სამუშაოებს. ფინანსურ ანგარიშგებაში შესრულებული პროექტების ღირებულება აღრიცხულია მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის⁷ მიხედვით, აღნიშნული სამუშაოები მიეკუთვნება არაფინანსურ აქტივებს და აღრიცხული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 175.6 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5) ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვის გზით მიღება.

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), მუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ არასწორადაა გაზრდილი 175.6 ათასი ლარით.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

- ფინანსურ ანგარიშგებაში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ასახული არ არის არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი. გაზრდილი სახით არის წარმოდგენილი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მაჩვენებელი, რაც ასევე გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსის (ბალანსის ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის მაჩვენებელზე.

გარემოება 3. 2010 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია 17 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 29695 კვ.მ მიწის ნაკვეთი, გარდა ამისა, 2013 წელს სახელმწიფოსგან გადმოეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების მუხლები“ (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართ ფორმა №5).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლშია ასახული ხანგრძლივი გამოყენების მცირეფასიანი აქტივები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მიხედვით, აქტივი ექვემდებარებოდა „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლით გატარებას, როგორც 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი. ინსტრუქციით რეკომენდებულია, რომ ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტში ისინი აღიარებულ იქნეს ხარჯად და აღირიცხოს საცნობარო მუხლების შესაბამის ანგარიშზე.

2012 წლის დასაწყისისათვის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი შეადგენდა 98.8 ათას ლარს, წლის განმავლობაში მიღებულია 40.1 ათასი ლარის ღირებულების აქტივი.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილი სახითაა წარმოდგენილი ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგებისა“ და „წმინდა ღირებულების“ ანგარიშები და ასევე საცნობარო მუხლი - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“.

- ოპერაციის არასწორად ასახვის გამო, შეცდომით არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3).

ოფისის ხარჯები

გარემოება. ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის განმავლობაში საბანკო მომსახურების შესყიდვის მიზნით გაწეულია 2.2 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც აღრიცხულია „ოფისის ხარჯების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული შესყიდვები წარმოადგენს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეულ ხარჯს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), 2.2 ათასი ლარით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ და ამავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის მაჩვენებელი.

წარმომადგენლობითი ხარჯები

გარემოება. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის გამოეყო 16.0 ათასი ლარი, რომლის აუთვისებელი თანხა - 6.0 ათასი ლარი, 2013 წელს დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩარიცხული თანხა გატარებულია „წარმომადგენლობით ხარჯებში“, ნაცვლად - შემოსავლების შემცირებისა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 6.0 ათასი ლარით.

ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება. 2012 წელს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი⁸. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯის

⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (მუხლი 16, პუნქტი 3) საფუძველზე.

ანაზღაურების სახით (ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე) სულ მიღებული აქვთ 169.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გარემოება. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა განხორციელდა აქტივის ნარჩენ ღირებულებაზე და არა ინსტრუქციით გათვალისწინებულ, საწყის (ისტორიულ) ღირებულებაზე.

დარიცხული ცვეთა 429.0 ათასი ლარი (ფაქტობრივი ხარჯი), ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ნაცვლად „ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა“, წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებში.

ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, დარიცხული ცვეთა ასახულია მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ გაცემულ აქტივებთან ერთად და მეტია წარმოდგენილი, თანხით - 431.9 ათასი ლარი (860.9-429.0).

გავლენა

აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე:

„ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5).

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება 1. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან „სოციალური დახმარების“ სახით გაწეულ ხარჯებში არასწორადაა წარმოდგენილი ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დაფინანსება - 74.0 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს სუბსიდიას და შესაბამისად, უნდა აღრიცხულიყო „სუბსიდიებში“.

გავლენა

- ხარჯების არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაზრდილია 74.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.
- „ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) გაზრდილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მაჩვენებელი და შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

გარემოება 2. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა ვიდეოფილმის - „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“, გადაღების მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 2.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ხარჯი გაწეულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, მათ შორის ფილმები, კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც „არამატერიალური ძირითადი აქტივების“ კუთვნილება.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1) 2.0 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი.

- „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), ასახული არ არის არამატერიალური ძირითადი აქტივების შესყიდვის გზით მიღება.

- ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი არასწორადაა გაზრდილი 2.0 ათასი ლარით.

